კინოგადაღების პავილიონისა და თუმანიშვილის თეატრის მიმდებარე ტერიტორიის განვითარება და რეგენერაცია

მარიამ გონგლაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე არქიტექტურის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

თანამედროვე არქიტექტურა და მდგრადი განვითარება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ლაურა ქუმსიაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2023 წელი

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მარიამ გონგლაძე 2023

აბსტრაქტი

მემკვიდრეობის ძეგლების, ინდუსტრიული შენობებისა თუ გამოუყენებელი არქიტექტურული ობიექტების რეგენერაცია და პროექტირებისას მდგრადი განვითარების პრინციპების ინტეგრირება თანამედროვე არქიტექტურულ დისკურსში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმდინარე საკითხია. წინამდებარე კვლევა და შემდგომ პროექტი, ხაზს უსვამს შენობის ხელახალი გამოყენების პრინციპების მნიშვნელობასა და როლს. თუმცა, აღსანიშნავია არსებული არქიტექტურული ობიექტების ფუნქციის დაბრუნებისა და თანამედროვეობასთან ადაპტირების მცდელობა, რაც, როგორც მდგრადი არქიტექტურის გამოწვევებს, ისე ქალაქში არსებული სოციალური, საგანმანათლებლო და კულტურული პრობლემების გადაჭრის გზების ძიებას მოიცავს.

წინამდებარე ნაშრომი იკვლევს როგორც არსებული საპროექტო არეალის - ყოფილი კინოგადაღების პავილიონისა და თუმანიშვილის თეატრის მიმდებარე ტერიტორიის პოტენციალსა და კომპლექსის მნიშვნელობას დიდუბე-ჩუღურეთის ურბანულ განვითარებაში, ისე დღევანდელ გამოწვევებსა და პრობლემებს კინოინდუსტრიასა და კულტურულ-საგანმანათლებლო სივრცეებში.

შერჩეული საკითხის განხილვისა და კვლევის მთავარი მიზანი, თავდაპირველად, თბილისში არსებული უფუნქციოდ დარჩენილი არქიტექტურული ძეგლის, კინოინდუსტრიის მიმდინარე მნიშვნელოვანი საკითხების, ინფრასტრუქტურისა და კინოგადაღების პავილიონების არარსებობისგან გამოწვეული პრობლემების იდენტიფიცირება, შემდეგ კი აღნიშნული პრობლემების აღმოფხვრის გზების განსაზღვრაა. აღნიშნული გზა გულისხმობს ალტერნატივების შერჩევას, შედეგების პროგნოზირებას და ბოლოს, კვლევის საფუძველზე გადაწყვეტილების მიღებას არქიტექტურული კონცეფციისა და პროექტის სახით.

ცხადია, შერჩეულ საპროექტო ტერიტორიაზე კინოინდუსტრიისთვის საჭირო ობიექტების განთავსება უშუალოდ ეხმიანება უბნისა და კერძოდ, აღმაშენებლის გამზირის სპეციფიკას. კვლევა კი მიმოიხილავს კულტურის ცენტრების, კინოთეატრების,

კინოპავილიონებისა და სახელოვნებო დანიშნულების ობიექტების აღნიშნულ პერიმეტრზე განთავსების მიზეზებსა და მნიშვნელობას.

საპროექტო შეთავაზება გულისხმობს კომპლექსის კონცეპტუალური განვითარების ხედვას, თავდაპირველი ფუნქციების აღდგენით, დამატებითი ფუნქციებისა და სივრცეების ინტეგრირებით მულტიფუნქციური კინოგადაღების პავილიონებისა და საგანმანათლებლო სივრცეების პროექტირებას.

საპროექტო კონცეფციის ერთ-ერთ მთავარ მიზანს კი ამჟამად უფუნქციო კომპლექსის დღევანდელ მოთხოვნებთან ადაპტირება, მოწესრიგება და უბნისათვის ცოცხალი სივრცის შექმნა წარმოადგენს - კომპლექსის შერეული ფუნქციების თანაარსებობა კი საპროექტო არეალში დამატებით საჯარო სივრცეს შექმნის.

მადლობა

ნაშრომის წერისა და პროექტირების პროცესი სახალისოსა და საინტერესოსთან ერთად საკმაოდ შრომატევადი აღმოჩნდა. ჩემ გარშემო მყოფი ადამიანები - ხელმძღვანელები და მეგობრები, მუდმივად ცდილობდნენ დახმარებასა და გამხნევებას აღნიშნული პროცესის მსვლელობის დროს. მადლობა მინდა გადავუხადო ჩემი პროექტის ხელმძღვანელს - ქ.ნ ლაურა ქუმსიაშვილს დახმარებისა და გაწეული შრომისთვის. ის მუდმივად ცდილობდა დამატებითი ინფორმაციის, ლიტერატურისა და სხვადასხვა წყაროს მოწოდებას, ყოველთვის მზად იყო გაეწია კონსულტაცია საკვლევი მასალის გასაანალიზებლად თუ უშუალოდ არქიტექტურული პროექტირების მსვლელობის დროს. ასევე დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ჩემი სამაგისტრო ნაშრომის წინა სემესტრის ხელმძღვანელს, სალომე ბერეჩიკიძეს, რომელსაც უდიდესი წვლილი მიუძღვის სხვადასხვა წყაროს აღმოჩენასა და საკვლევი საკითხის დაზუსტებისას სწორი მიმართულებების განსაზღვრაში. მინდა აღვნიშნო ჩემი თანაკურსელისა და მეგობრის, ელენე ნემსაძის მხარდაჭერა, რაც მისი გამოცდილების მუდმივ გაზიარებასა და მუშაობის პროცესში თანადგომაში გამოიხატებოდა.